საგაზეთო ჩანართი

# ინტელექტი

თვითმმართველობა და განვითარება

№8 / 2010

# მუნიციპალიტეტი ხალხის თვალით – პრობლემები და მოლოდინები

## სოციოლოგიური კვლევის ანგარიში შუახევისა და ქედის მუნიციპალიტეტში

საგაზეთო ჩანართის – „ინტელექტის“ მკითხველისთვის უკვე ცნობილია, რომ ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“ პროექტის – „აჭარის რეგიონში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შესაძლებლობების გაძლიერება გრძელვადიანი მდგრადი განვითარებისათვის“ ფარგლებში აწარმოებს სოციოლოგიურ კვლევებს აჭარის ყველა მუნიციპალიტეტში.

სოციალურ-ეკონომიკური კვლევები მნიშვნელოვანია იმ დამოკიდებულებების შესწავლისათვის, რომელიც არსებობს საზოგადოების ეკონომიკურ და სოციალურ ასპექტებს შორის.

პროექტის ფარგლებში უნდა განხორციელდეს შესწავლა რამდენიმე საკითხისა:

- ზოგადი სოციალური ფონი;
- მწვავე სოციალური პრობლემები;
- ჯანდაცვა და სოციალური უზრუნველყოფა;
- მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული გარემო.

მონაცემთა შედეგები, რომლებიც გაანალიზებულია სოციო-დემოგრაფიული მახასიათებლების მიხედვით, როგორიცაა: ასაკი, სქესი, განათლება, დასახლების ადგილი, იძლევა მიღებული შედეგების სხვადასხვა ჭრილში დანახვისა და შეფასების საშუალებას.

კვლევის ერთი ეტაპი უკვე დასრულდა, რომლის ფარგლებშიც მიმდინარეობდა მოსახლეობის გამოკითხვა სპეციალური კითხვარების მეშვეობით, სადაც მოსახლეობის პრობლემატიკასა და მოთხოვნებზე მორგებული კვლევის დიზაინი შეიქმნა. სამიზნე აუდიტორიისათვის მისაღები ენისა და ტერმინოლოგიის გამოყენებით შერჩეულ იქნა ინფორმაციის შეგროვების ოპტიმალური მეთოდი (კვლევის მიზნებისა და მეთოდების შესახებ უფრო დეტალურად იხილეთ საგაზეთო ჩანართი – „ინტელექტი“ — თვითმმართველობა და განვითარება“ მე-6 ნომერი ან „ინტელექტის“ ვებგვერდზე მიჰყევით ბმულს **http://intellect.org.ge/activity/publication/sag/saggeo76.pdf**)

კვლევის შედეგებს პერმანენტულად მოგაწვდით ამ საგაზეთო ჩანართისა და ჩვენი ვებგვერდის მეშვეობით: **www.intellect.org.ge**

წინამდებარე სტატიაც აღნიშნული კვლევის შედეგების ანალიზსა და ინტერპრეტაციებს ეთმობა. ამჯერად შევეცდებით შუახევისა და ქედის მუნიციპალიტეტების მოსახლეობის ანკეტირებით მიღებული სურათის თქვენთვის გაზიარებას.

გამოკითხვაში ათასზე მეტმა რესპონდენტმა მიიღო მონაწილეობა. შუახევში გამოიკითხა ხუთას ორმოცდაათი ადამიანი, ქედაში კი – ექვსასი. ანკეტების ამოღების მაჩვენებელი შუახევში 93% იყო, ქედაში იგივე მაჩვენებელი 91%-ს აჭარბებდა. ანკეტების ამოღების კოეფიციენტი კვლევაში ჩაშვებული კითხვარებიდან უკან, შევსებული მონაცემების სახით მიღებულ ანკეტებს ასახავს. ამ პარამეტრის მიხედვით კვლევა ეფექტიანი იყო.

გამოკითხვისას რესპონდენტების შერჩევა მოხდა ორდონიანი მიზნობრივი სეგმენტის შერჩევითა და მესამე დონის შემთხვევითი ამორჩევის საფუძველზე. ასეთი მიდგომა გულისხმობს საწყის ეტაპზე პოტენციური რესპონდენტების მსხვილი კატეგორიით გამოყოფას. ჩვენ შემთხვევაში პირველ ეტაპზე ტერიტორიული ნიშნით გამოიყო სამიზნე ჯგუფი. მეორე ეტაპზე საორიენტაციო კატეგორიები შეირჩა საქმიანობის, შემოსავლების, განათლების სავარაუდო მონაცემების საფუძველზე, რათა მიგველო შედეგი, რომლითაც მაქსიმალურად სრულფასოვნად აღიწერებოდა რეალურად არსებული სოციალური სურათი. ბოლო ეტაპზე შემთხვევითი პრინციპით ამორჩეულ რესპონდენტებს მიეწოდათ კითხვარები.

კვლევები წარმოებს პროექტის – „აჭარის რეგიონში ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების შესაძლებლობების გაძლიერება გრძელვადიანი მდგრადი განვითარებისათვის“ფარგლებში და ერთ-ერთ საბოლოო მიზანს მუნიციპალიტეტების სტრატეგიული განვითარების გეგმების შედგენა წარმოადგენს.

ამ მიზნის რეალიზაციისათვის საკუთრივ მოსახლეობის აზრი არსებითია, რადგან გეგმების შექმნა მათი თანამონაწილეობის პრინციპით მიმდინარეობს.

### გრძელვადიანი სტრატეგიული ხედვისა და მუნიციპალური განვითარების გეგმების არარსებობა და მათი შემუშავებისა და განხორციელების საჭიროება

თვითმმართველ ერთეულებში არ არსებობს ერთიანი ხედვა თვითმმართველი ერთეულის მდგრად განვითარებასთან დაკავშირებით. შესაბამისად, არც მუნიციპალური განვითარების გეგმებია შემუშავებული.

საზოგადოებრივი აზრის კვლევამ აჩვენა, რომ მსგავსი გეგმების არსებობის საჭიროებას მოსახლეობა კარგად აცნობიერებს. მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიული დოკუმენტის შექმნას რესპონდენტთა დიდი ნაწილი ემხრობა (შუახევი-96%; ქედა-87%), თუმცა არსებობს შედარებით მცირე ნაწილი, რომელიც არ იზიარებს ამ პათოსს ან გადაწყვეტილების მისაღებად საკმარისად არგუმენტირებული პოზიცია ჯერ არა აქვს (იხ. დიაგრამა (1 და 2).

### დასაქმების პრობლემა

შრომისუნარიანი მოსახლეობის დასაქმება და უმუშევრობის შემცირება საქართველოში ეკონომიკური ზრდის და სიღარიბის დაძლევის საკვანძო პრობლემაა. დასაქმების დაბალი დონე განაპირობებს საოჯახო მეურნეობების შემოსავლების დაბალ დონეს და მრავალ სხვა ნეგატიურ სოციალურ და ეკონომიკურ შედეგს უკავშირდება. უმუშევრობის პრობლემა გაცილებით უფრო მტკივნეულია საქართველოს მოსახლეობისთვის, ვიდრე ამას ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს. უკანასკნელ წლებში საქართველოში ჩატარებული არაერთი გამოკითხვის მიხედვით უმუშევრობამ პირველი ადგილი დაიკავა იმ პრობლემებს შორის, რომლებიც რეგიონის მოსახლეობას ყველაზე მეტად აღელვებს.

გამონაკლისი, ამ თვალსაზრისით, არც ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირ „ინტელექტის“ მიერ ჩატარებული კვლევა აღმოჩნდა. დასაქმების პრობლემა რესპონდენტთა პასუხების რაოდენობრივი ანალიზის მეთოდით შედგენილ აქტუალობის მწკრივშიც პირველ ადგილზეა.

შუახევში გამოკითხული რესპონდენტების 75%, ხოლო ქედაში გამოკითხულთა 70% უმუშევრობას მუნიციპალიტეტში არსებულ ყველაზე მწვავე პრობლემად მიიჩნევს. რესპონდენტთა საკმაოდ დიდი ნაწილი უმუშევარია (შუახევი-31%; ქედა-57%) (იხ. დიაგრამა 3; 4).

როგორც დასაქმების სტრუქტურის ასაკობრივი და სქესობრივი ჭრილების ანალიზისას გამოიკვეთა, ასაკობრივი ნიშნით ვარირება დასაქმებულთა და უმუშევრებს შორის 2-დან 21%-მდეც კი მერყეობს. (იხილეთ დიაგრამა 5) მუნიციპალიტეტებს შორის კი ვარიაციის ეს მაჩვენებელი 25-დან 34 პროცენტამდეც მაღლდება. მაგალითად: 40-49 წლის ასაკობრივ ჯგუფში დასაქმებულთა მაჩვენებელი შუახევისა და ქედის მუნიციპალიტეტებს შორის (25%), ან 30-39 წლის ასაკობრივ ჯგუფში უმუშევართა მაჩვენებელი (34%). ასევე მკვეთრად არათანაბარია მამაკაცთა დასაქმების მაჩვენებლები თვითმმართველი ერთეულების მიხედვით გაკეთებულ ჭრილში (60 პროცენტიანი სხვაობით). ქალების ეკონომიკური აქტივობა მეტად ჩამორჩება მამაკაცთა ხვედრით წილს დასაქმებულთა სტრუქტურაში. დასაქმებულთა შორის შუახევში მხოლოდ 13 პროცენტია მდედრობითი სქესის, ხოლო ქედაში – 27%.

დასაქმების სტრუქტურის საინტერესო სურათი იკვეთება განათლების მიხედვით გაკეთებულ ჭრილშიც. როგორც გრაფიკიდან და თანდართული ცხრილებიდან ჩანს, უმაღლეს განათლებულთა ყველაზე დიდი კონცენტრაცია განათლების, კულტურისა და ჯანდაცვის სფეროშია. სოფლის მეურნეობაში ძირითადად საშუალო განათლების მქონე ადამიანები აქტიურობენ. მაგრამ ამ სფეროში ასევე ძალიან მაღალია განათლების სხვა მაჩვენებლიანი რესპონდენტების კონცენტრაციაც.

ამასთან, მუნიციპალიტეტების სოფლებში დასაქმების ორი ძირითადი ფორმის სიჭარბე შეინიშნება: უსასყიდლო დასაქმება (39%) და სასოფლო თვითდასაქმება (32%). დასაქმების არსებული არაეფექტური სტრუქტურა მნიშვნელოვნად ართულებს სიღარიბის დაძლევის რისკს. მუნიციპალიტეტებში ეკონომიკის უმსხვილეს დამსაქმებელ დარგებად გვევლინება დაბალი შემოსავლების უზრუნველმყოფი სოფლის მეურნეობისა და გლობალური საფინანსო ბაზრების რყევაზე დამოკიდებული მშენებლობის სექტორები.

თუმცა რისკების შეფასებამ აჩვენა რომ უმუშევრობა ამ მხრივ ნაკლებად აქტუალური საკითხია. უმუშევრობის დაბალი რისკის მაჩვენებელი შუახევისა და ქედის მუნიციპალიტეტებში ძირითადად სოფლად გამოკითხული რესპონდენტების ხარჯზეა მიღწეული, რაც შესაძლოა აიხსნას სოფლის მოსახლეობის ინტენსიური ჩართულობით სასოფლო თვითდასაქმებასა და უსასყიდლო დასაქმების ფორმებში.

თუ დავაკვირდებით ბოლო პერიოდის ეკონომიკურ რყევებს ქვეყნის შიგნით, სოფლის მეურნეობაში დასაქმებულთა და თვითდასაქმებულთა რაოდენობის შესამჩნევი ცვლილება მოხდა ტურისტულ და სამშენებლო სექტორში სამუშაო ძალის გადადინებით, მაგრამ წარმოების სხვა დარგებში სამუშაო ადგილების დაკარგვის წინმსწრები ტემპის გამო, სოფლის მეურნეობის სექტორის წილი შუახევისა და ქედის მუნიციპალიტეტებში ბოლო პერიოდის განმავლობაში უმნიშვნელოდ გაიზარდა კიდეც.

მოსახლეობის დასაქმების სფეროში არსებული პრობლემები, არამარტო ხსენებულ მუნიციპალიტეტებში, არამედ თითქმის ყველა გარდამავალ ეკონომიკურ გარემოში, ერთგვარ ნოსტალგიას წარმოშობს გეგმიური, გარანტირებული დასაქმების ადრე არსებული სისტემის მიმართ, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს რეფორმებს ცივილური შრომის ბაზრის ჩამოყალიბების პროცესში. კვლევის თვისობრივი ანალიზისას სწორედ ამგვარი დამოკიდებულების შემჩნევა გახდა შესაძლებელი. რესპონდენტთა ნაწილი შეეხო ერთგვარი პარალელიზმის გამოყენებით „ძველ დროს“, როცა ეს პრო-

*გაგრძელება შემდეგ გვერდზე*

*თვლით თუ არა, რომ მუნიციპალიტეტის განვითარება უნდა ემყარებოდეს წინასწარ შემუშავებულ სტრატეგიულ დოკუმენტს?*




**დიაგრამა №1: შუახევი**




**დიაგრამა №2: ქედა**

# მუნიციპალიტეტი ხალხის თვალით – პრობლემები და მოლოდინები

## სოციოლოგიური კვლევის ანგარიში შუახევისა და ქედის მუნიციპალიტეტში

*პირველი გვერდიდან*

ბლემა მათი რეალობის ნაწილი არასოდეს ყოფილა.

მათ დამოკიდებულებაში იგრძნობოდა ნოსტალგია. გასაგები მიზეზების გამო ამ კატეგორიის ასაკობრივი სტრუქტურა საშუალოზე მაღალია – 40 წლის ზევით.

### მუნიციპალიტეტის სპეციალისტების კვალიფიკაცია

პარადოქსული ფაქტია, რომ მუნიციპალიტეტის შრომის ბაზარზე არსებობს მოთხოვნა კვალიფიცირებულ პერსონალზე და უმაღლესი სასწავლებლების (როგორც კერძო, ასევე სახელმწიფო) საკმაოდ გაჯერებული ბაზრის ფონზეც კი ვერ ხერხდება მოთხოვნის დაკმაყოფილება. მუნიციპალიტეტში არსებული სასწავლო დაწესებულებები კი ვერ ახერხებენ კონკურენტული კადრების მომზადებას თუნდაც შრომის მხოლოდ შიდა ბაზრისთვის. თუმცა რეალურად პრობლემა რეგიონში სწორედ შრომის ბაზარზე კონკურენტული გარემოს არარსებობაა, შედეგად კვალიფიციური შრომით მუნიციპალიტეტის სოციალური და ეკონომიკუირი აქტივობის სფეროების უზრუნველყოფა ვერ ხდება.

რესპონდენტთა თვისობრივმა კვლევამ ცხადყო, რომ მოსახლეობისათვის ინსტიტუციონალურ სისტემასთან არასრულფასოვანი ურთიერთობის და შედეგად არადამაკმაყოფილებელი პასუხის მიღების ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზი, სწორედ, საჯარო მოსამსახურეების არაკვალიფიციურობა და გულგრილი დამოკიდებულებაა. აღსანიშნავია, რომ ეს პრობლემა კითხვარით შეთავაზებული არ ყოფილა, რესპონდენტებმა საკითხი თავად გააქტიურეს. რესპონდენტთა დაახლოებით 78 პროცენტი მიიჩნევს, რომ საჯარო სამსახურებში მათ არ ემსახურებიან ჯეროვნად და არსებული სოციალური პრობლემების გადასაწყვეტად ამ მიმართულებით მუშაობას აუცილებლად მიიჩნევს. საჯარო მოხელეებისაგან რესპონდენტები მეტი ინტენსივობით ურთიერთობას, გულისხმიერ დამოკიდებულებასა და საკითხების მოკლე დროში გადაწყვეტას მოითხოვენ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ შეთავაზებულ გაბნეულ სოციალურ პრობლემათა ნუსხაში კადრების პროფესიულ მომზადება-გადამზადებას რესპონდენტთა არცთუ დიდი ნაწილისაგან მოჰყვა აქტუალობის შკალით მაღალი შეფასება (შუახევი-13%; ქედა-11%).

### მუნიციპალიტეტების ინფრასტრუქტურის ნაკლოვანებები

მუნიციპალიტეტებში ინფრასტრუქტურის განვითარების ხარისხი არადამაკმაყოფილებელია და ეს მაღალი სტატისტიკური მაჩვენებლებით აისახა კვლევაში.

შუახევსა და ქედაში შიდა საგზაო ინფრასტრუქტურა მოუწესრიგებელია. მოსახლეობა მწირი ფინანური რესურსებით ვერ ახერხებს მათ გამგებლობაში მყოფი გზების მოვლა-პატრონობას. ამასთან, განსხვავებულია საზოგადოებრივ ტრანსპორტზე სოფლებში მცხოვრებთა ხელმისაწვდომობა. ტრანსპორტის მოძრაობა დასახლებულ პუნქტებში ხშირად არარეგულარულია, სატრანსპორტო საშუალებები მოძველებულია და მათი დიდი ნაწილი ტექნიკურად გაუმართავია. ნორმალური ხარისხის გზისა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის მისაწვდომობის სირთულე სოფლის მეურნეობაში დასაქმებული მოსახლეობისათვის შემოსავლების მიღების პერსპექტივების გაუმჯობესების მნიშვნელოვანი შემაფერხებელი ფაქტორია.

რესპონდენტებმა შუახევისათვის ყველაზე მწვავე პრობლემად სწორედ ტრანსპორტით არასათანადო უზრუნველყოფა დაასახელეს (75%), ხოლო საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმართაობა სასწრაფოდ მოსაგვარებელ პრობლემად რესპონდენტთა 31%-მა დაასახელა. (იხილეთ დიაგრამა 6).

ქედაში გამოკითხული რესპონდენტების 58 პროცენტისათვის გზები, 26 პროცენტისათვის კი – ტრანსპორტთან დაკავშირებული სირთულეების დაძლევაა უმნიშვნელოვანესი (იხილეთ დიაგრამა 7) .

შუახევსა და ქედაში, განსაკუთრებით სოფლად, დაზიანებული ელექტრობოძებისა და სადენების გამო საკაბელო ტელეფონები ნაკლებად ხელმისაწვდომია, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს მოსახლეობის ინტერნეტით უზრუნველყოფას. შუახევში რესპონდენტთა 20 პროცენტი უმთავრესად კავშირგაბმულობის აღდგენასა და დასახლებული პუნქტების ინტერნეტით უზრუნველყოფას მიიჩნევს. შედეგად კი– საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, ინფრასტრუქტურის ხარისხის ზრდას მოელის.

სოფლებში მწვავედ დგას წყალმომარაგების სისტემის საკითხიც. მოსახლეობას აქვს როგორც სასმელი წყლის, ასევე სარწყავი წყლის პრობლემა. მუნიციპალიტეტებში წყალმომარაგებისა და კანალიზაციის მომსახურებაზე უარყოფით ზეგავლენას ამ სფეროში არათანმიმდევრული დარგობრივი პოლიტიკის განხორციელება ახდენს.

რესპონდენტთაგან ქედის მოსახლეობის 26 პროცენტი სასმელი და სარწყავი წყლის პრობლემის წინაშე დგას. როგორც, კორელაციურმა ანალიზმა აჩვენა, პრობლემათა სიმწვავის მწკრივში მაღალი რისკის მიხედვით ის ერთ-ერთი ყველაზე მტკივნეული საკითხია (იხ. დიაგრამა 8; 9).

რესპონდენტების მიერ მაღალი სიხშირით იქნა დასახელებული მუნიციპალიტეტებში, დასახლებულ პუნქტებში მოწყობილი არალეგალური ნაგავსაყრელების პრობლემა, რომელთა არსებობაც, თავის მხრივ, საყოფაცხოვრებო თუ საწარმოო ნარჩენებისათვის ლეგალური ნაგავსაყრელების მოუწყობლობითაა ნაკარნახევი.

სოფლებში, ძირითადად, არ არსებობს (ან არ მოქმედებს) სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებები. სიტუაცია საერთოა ორივე მუნიციპალიტეტისათვის. რესპონდენტების ეკონომიკურად აქტიური ნაწილის 1/5-სათვის ეს მნიშვნელოვანი შეფერხებაა სრულფასოვანი სოციალური და ეკონომიკური აქტივობისათვის. სამაგიეროდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების წინაშე მდგარ სირთულეებს ქედის მოსახლეობის 28 პროცენტი გულგრილად არ უდგება და სკოლის პრობლემების გადაჭრას პრიორიტეტულად მიიჩნევს. შუახევის მოსახლეობის შედარებით მცირე ნაწილისათვის აღმოჩნდა სკოლებში არსებული მდგომარეობა არადამაკმაყოფილებელი.

*ნონა ხუჯაძე*
*ეკონომიკის ექსპერტი*

*გაგრძელება შემდეგ ნომერში*




**დიაგრამა №3: დასაქმების სტრუქტურა შუახევში**




**დიაგრამა №4: დასაქმების სტრუქტურა ქედაში**

*ეკონომიკური აქტივობა ასაკობრივ და სქესობრივ ჭრილში*




**დიაგრამა №5.** პროცენტები დათვლილია ცალკცალკე დასაქმებულებისა და უმუშევართა საერთო რაოდენობის მიხედვით

*დასაქმების სტრუქტურის ჭრილი განათლების დონის მიხედვით შუახევში*




| შუახევი | არასრული საშუალო | საშუალო განათლება | პროფესიული | უმაღლესი |
|---|---|---|---|---|
| სახელმწიფო სექტორი | 0 | 13 | 21 | 47 |
| ბიზნეს სექტორი | 1 | 1 | 5 | 5 |
| განათლება, კულტურა, ჯანდაცვა | 0 | 9 | 27 | 144 |
| სოფლის მეურნეობა (საოჯახო მეურნეობა) | 10 | 91 | 38 | 28 |

**დიაგრამა №6**

საგაზეთო ჩანართი მომზადებულია ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით. ტექსტში მოყვანილი მოსაზრებები შეიძლება არ ემთხვეოდეს ევროკავშირის ოფიციალურ პოზიციას.

ინტელექტი
ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი

საგაზეთო ჩანართს გამოსცემს ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“

საგაზეთო ჩანართის რედაქტორი:
გურანდა შაინიძე

საგაზეთო ჩანართი გამოიცემა პროექტის "აჭარის რეგიონის თვითმმართველობის ორგანოების შესაძლებლობების გაძლიერება გრძელვადიანი მდგრადი განვითარებისათვის" ფარგლებში

საგაზეთო ჩანართი „ინტელექტი“
მისამართი: ბათუმი, აღმაშენებლის ქ.№13
ტელ.: 41650, ფაქსი: 41640
ელ.ფოსტა: info@intellect.org.ge
ვებ.გვერდი: www.intellect.org.ge